22 ივლისი (3 აგვისტო), 1866. № 21. პირველი წელიწადი.

**გაზეთის ფასი:**

| ტფილისში [და გა]რეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| [ერთ]ის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| [ექვს]ის თვისა | — 6 — | — — — 5 — |
| [ნახევ]რის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| [სამ]ის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

[თვით]ეულ ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ—3 შაური.

„[დ]როება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გოლოვინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განცხადება.

10 ივლისიდამ მელიქიშვილის სტამბა და „დროების“ რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.

### რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთ[ვის] მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება **პირველისავე ნუმრიდამ.**

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ [ის] ფული.

ამ ნუმერში არის: მმართებლობის განკარგულება.—ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.—ტფილისის განყოფილება სახელმწიფო ბანკისა. პოლიტიკა:—ფრანცია.—ანგლია.-ავსტრია.-იტალია.—ამერიკა.—სამხედრო ამბავი გერმანიიდამ.—სამხედრო ამბავი იტალიიდამ. ტელეგრამმები.—ევროპის ბირჟის ამბავი. სალიტერატურო ნაწილი.—პარიჟი ამერიკაში. ფელეტონი.—ამ დროების ქართველები.

### მმართებლობის განკარგულება.

### ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

1866 წელს 19 ივნისს დაბასა ბორჯომს. მმართებელის სენატის განმარტებით, 1866 წელს 10 მაისიდამ დამტკიცდება უფროსობით კოლლეჟსკი სეკრეტრის ჩინში ნამესტნიკის უმთავრესის სამმართველოს საფინანსო დეპარტამენტის კანცელარიის ჩინოვნიკი გაბრიელ ეჯუბაშვილი თანახმად კანდიდატის ხარისხისა პეტერბურგის უნივერსიტეტისა (1865 წ. 15 ფებერვლიდგან). დაინიშნებიან: დროებით მმართველი ხოზიაპინის საკარანტინო დამოჯნის ზასტავისა, კოლლეჟსკი ასსესორი ქვიატოვსკი სოხუმის საკარანტინოდამოჯნის კანტორის წევრად. დროებით დაითხოვებიან: ლენკორანის უეზდის ნაჩალნიკი, ივანოვი—ქ. პეტერბურგს და ოდესას 1866 წელს 26 მაისიდამ); კოლლეჟსკი სოვეტნიკები: ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმის პრისუტსტვიისა ლიუბომირსკი ხარკოვის, მოსკოვის და პეტერბურგის გუბერნიებს, და კავკასიის აქეთის საზოგადო მზრუნველობის საბრძანებელის (Приказъ Общественнаго Призрѣнія) კასსირი ჩაევსკი ბესსარაბიის მხარეს და პოდოლის გუბერნიას; ნამესტნიკის უმთავრესის სამმართველოს საზოგადო საქმის დეპარტამენტში სტოლონაჩალნიკის უმცროსი თანაშემწე ახვერდოვი—მოსკოვს და პეტერბურგს. მწერლობითი მთარგმნელი (письмененый перводчикъ) თელავის უეზდის სამმართველოსი თავადი ვახვახიშვილი—ქუთაისის გუბერნიას საზღვარს გარეთ: კავკასიის მხარის სამოქალაქო დაწყობილების საქმის შესახებ დაწესებულის დროებითი განყოფილების რედაქტორის თანაშემწე ტერ-მიკირტიჩიანცი—გერმანიას, ბელგიას, ფრანციას, იტალიას, და ანგლიას, ექვსის თვის ვადით, (1866 წელს 27 მაისიდამ).

კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის სამმართველოსთან მდგომარე ტიტულიარნი სოვეტნიკი ტერგუკასოვი—გერმანიას და ფრანციას ორის თვის ვადით.

ხელმოწერილია: კავკასიის ნამესტნიკი ღენერალ-ფელდცეიხმეისტერი **მიხეილი.**

ტ ფ ი ლ ი ს ი ს განყოფილება სახელმწიფო ბანკისა გამოაცხადებს, რომ 15 ივლისიდამ იმან დაიწყო თავისი ოპერაცია. იმაზედ არის მინდობილი შემდეგი ოპერაციები: 1) საკრედიტო ბილეთები უნდა გამოცვალოს, 2) მისცეს პროცენტები (სარგებელი) კუპონებზედ 3) მიიღოს ფული ხაზინიდამ და კერძო-პირებისაგან გადასაცემათ, 4) მიიღოს ფული შესანახავათ და შემდეგს ანგარიშში, 5) უნდა მიიღოს კერძო პირებისაგან თავნი დაუნიშვნელის ვადით, რომ იმან იმატოს პროცენტებითა, 6) მოახდინოს დისკონტი 6 თვის ვადით, 7) უნდა ასესხოს ფული პროცენტიანი ქაღალდების გირაოთი ადგილობრივის საბრძანებლოს ბილეთების გარდა, (Прик. Общ. Приз.) რომელნიც არიან მიცემულნი ვადით თავნის შესატანათ; 8) აძლიონ ფული ვადა დადებულს დოკუმენტებზედ; 9) უნდა გაყიდოს და შეისყიდოს ხოლმე ხუთ-პროცენტიანი ბილეთები და სხვა ქაღალდები, რომელნიც იქნება იმაზედ მინდობილი სახელმწიფო ბანკისაგან.

### პოლიტიკა.

**ფრანცია.** პარიჟიდამ, 23 ივნისს (5 ივლისს), „სანაციონალო გაზეთში“ სწერენ, რომ ვენსიენში ეს ოთხი დღეა შეუწყნარებლათ სცდიან ნემსის თოფებს (игольчатое ружье). ფრანციის მთავრობა შეურიგდა ბელგიის და ფრანციის მექარხნეებს ანუ მეფაბრიკეებს, რომ იმათ ორის კვირის განმავლობაში მოამზადონ 100 ათასი ნემსის თოფი. 24 ბატალიონი ვენსიენის მასროლებისა უნდა შეიარაღდეს ნემსის თოფითა. „მონიტორის“ (Moniteur) ამბით ფრანციის საზოგადოება ისე აღელდა, რომ დიდი ხანია იმას არ გამოუცდია ამ გვარი აღელვება. ღაბსბურგის სახლმა აღიარა იმპერატორი ნაპოლეონი III უზენაესს მსაჯულად იმ საქმეებში, რომელნიც გერმანიას და იტალიას შეეხება! ის უთმობს იმპერატორ'ს მთელს მხარეს! რასაკვირველია, ამისთანა ამბავი ღირსი იყო, რომ პარიჟი ჩირაღდნით გაენათებინათ. სისხლის ღვრას დასასრული მიეცა. ავსტრიას აღარა ჰსურს მეტი წინაამდეგობა, ამისთვის რომ მეტი წინაამდეგობა იმას დაღუპავს და იმის სახელის დამცირებასაც ვერაფერს უშველის. ავსტრია უთმობს იმპერატორს ვენეციის მაზრას და სთხოვს, რომ იმის შემწეობით ბოლო მიეცეს ამ დამღუპავს ბრძოლას და სისხლის დათხევას გერმანიაში. ამ გვარის სიტყვებით ჰხატავს ფრანცუზული გაზეთი „ფრანსი“ (France) იმ მდგომარეობას, რომელიც ფრანცმა-იოსებმა მოახდინა იმითი, რომ სთხოვა იმპერატორს ნაპოლეონს შუამავლობა. ამის შემდეგ გაზეთი „ფრანსი“ მიულოცავს და ადიდებს დიდს მონარხს (ხელმწიფეს), რომელმაც მხოლოდ თავის სახელით მოახდინა ამისთანა ბრწყინვალე საქმე. იმას არა ვითარი სხვა ძალა არ მოუხმარნია ამ შემთხვევისათვის, რომელიც შეადგენს დიდებულს ფურცელს ფრანციის ისტორიაში!..—გუშინ ფრანციის იმპერატრიცამ ქალაქს ამიენში დაიარა ღარიბების საავათ-მყოფები, სადაც გაჭირვებულნი ავათ-მყოფნი ხოლერით იწვენენ. ხალხი ყოველგან სიხარულით მიეგებებოდა იმას. იმპერატრიცა მივიდა ქალაქს ამიენს დილის ათს საათზედ და იმავ წამს დაიარა პალატები, სადაც იწვენენ ხო-

### ამ დროების ქართველები.

იქნება, მკითხველო, გგონია, მე ჩვენი ძველი ქართველები ვაძაგო? ნუ იფიქრებ; ღმერთმა დამიხსნას ამისთანა ცილის-წამებიდგან! რომ ყველა კარგათ ხედავთ იმის ცხოვრებას, და რომ ვაძაგო კიდეც, როგორღა დამერწმუნებით?! ტყუილათ ნუ გგონია, რომ მე ისინი ვაძაგო. ქართველები ძალიან კეთილი კაცები არიან: წირვა-ლოცვაზედ ხშირათ დაიარებიან, არავის არასა ჰპარვენ, არავის არა ჰკლავენ, გლახებს იწყნარებენ, ბერი ან მოლოზანი რომ კალოზედ მიუვიდეთ დატვირთულს გაისტუმრებენ, მარხვა-ჭამია და გარყვნილი კაცებიც ძალიან ეჯავრებათ,—სხვა რაღა გინდათ? ამაზედ კარგს კაცობას კიდევ მოსთხოვთ? დიახ, ძალიან კარგი კაცობაა, ჩვენი ეკკლესიაც ამასა თხოულობს.—ეს სულ ყველაფერი კარგია, მაგრამ ერთი კითხვა კიდევა მაქვს, ჩვენო ქართველო კაცო, შენთან და ნუ გამიწყრები კი: აკეთებ რასმე ისეთს, რაც ამ შენ ცხოვრებაში საჭიროა და რომლისაგანაც წარმოდინდებიან ეგ შენი ნაკეთებნი? აკეთებ თუ არა იმას, ურაოთაც ცხოვრება არ შეიძლება? ჩემო გულ-კეთილო ქართველო კაცო, წირვა-ლოცვაზედ სიარული და ღვთის ვედრება ძალიან კარგია,-საღმრთო წერილი თხოულობს, შენც დადიხარ, მაგრამ კი არ იცვლები. ეს რას მივაწეროთ? უთუოთ შენ ყურს არ უგდებ ხოლმე იქ რასაც სულის მამები გეუბნებიან: „ვითარცა მამა ზეცისა, იყავ შენც სრული.“ ზეციერმა მამამ ყოველის ფერი იცის, მაგრამ შენ რომ არაფერი არ იცი, ეს როგორია? მოწყალეების მიცემა და საწყალი კაცისთვინ ხელის მომართვა ძალიან საქები საქმეა, ეგრეთვე ბერებისთვის და მოლოზნებისთვის კალოს პურის ჩუქება......................... მაგას რასაც აკეთებ, ეგ სულ გრძნობის ნაყოფია; მაგრამ ჭკუისთვინ და გონების ვარჯიშობისთვინ რომ სულ თავი მიგინებებია, ეს კარგია? თუმცა კი შენ შენი თავი ბრძნათ მიგაჩნია. აბა მითხარ ერთი რა გაგიკეთებია ისეთი, რომ გამჭრიახი გონება მოგეხმარებინოს? წავიდა ის დრო, როცა ხალხი მარტოკა გრძნობით და ალტაცებით ცხოვრებდა; დიდი ხანია, რაც ამას გამჭრიახი გონებაც შეაშველეს; შენც რომ ისე გექნა, ჩემო ქართველო, საქმე კარგათ წავიდოდა. აბა შევხედოთ შენ ცხოვრებას, გიხმარია თუ არა ცოტაოდენი ჭკუის ნატამალი მაინც იმის გასაკეთებლათ და გასაჩაღებლათ? დავიწყოთ სახლ-კარიანობის მეურნეობიდგან, სმა-ჭამიდგან და ავიდეთ უმაღლეს კაცის მოთხოვნილებამდინ —ჭკუის და გონების განათლებამდინ. რომ უზრუნველობა შეგამჩნიო, ნუ დამემდურები, ჩემი რა ბრალია? მე მარტოკა რასაც ვხედავ, იმას ვიტყვი, სხვასავით ცილს არ შეგწამებ. ჩვენმა ქართველმა სახლ-კარიანობის მეურნეობა ძალიანი იცის. ვისთანაც გინდათ მიხვიდეთ და იმის სახლ-კარს, ვენახებს და მინდორს შეხედოთ, მაშინვე თვალ წინ წამოგიდგებათ ჯიმშერიძის თათქირიძე: ყანა გ უმარგლავი, ვენახი დაუბარავი და შეუყელავი, სახლ-კარი მოუვლელი—სხვა რაღა გინდათ? ამაზე კარგ მეურნეობას ვერ მოითხოვთ ქართველი კაცისგან; ყველაფერი ღვთის ძალაზედ და ნებაზე აქვს მიგდებული; მოვა რამე-კარგია, არ მოვა და მადლობა ღმერთს. ამის ძალით ჩასციებია თარგამოსისგან მოგონილ გუთანს და იმისგანვე მოგონილ მეურნეობის იარაღს, რვა უღელი ხარ-კამბეჩით მიწასა ხნავს და ხუთჯერ წელში მოხრილი ყანას მკის. ამაზე მეტი ჭკვიანური და სარგებლიანი მეურნეობაღა გნებავთ? ჩვენ ქართველებს ცალმხარეს ნემენცები უსახლიან, რომლებსაც სახლ-კარი, ბაღები და მინდვრები სავსე და აყვავებული აქვთ, რომლებიც ორი ცხენით და ან ორ უღელა ხარით მიწასა ხნავენ და ფოცხიანი ცელებით, წელში მოხრის მაგივრათ, წელში გამართულები ყანასა მკიან, და რომლებიც ამ ოცი წლის წინათ ცარიელ-ტარიელნი გადმოსულან ისე გამდიდრებულან, რომ სდულს და გადმოსდით. მეორე მხრით უსახლიან მალაკნები და დუხობორები, რომლებიც კიდევ ისე გამდიდრებულები არიან. იმათი მიხედვა რა ჭკუა არის, ისინი სხვა ხალხნი არიან და ჩვენი ქართველები სხვანი! ისინი ზოგნი ლოტრანგები არიან, ზოგნი უმირონცხებულნი, იმათი მიბაძვა ქართველებს რა ხეირს მისცემს!? ნემენცების ბაღებში სხვილ-სხვილი თურაშაული ვაშლები და გულაბი მსხლები ასხია, ეგრეთვე სხვილ-სხვილი კაკლის ტოლა ბალი, ალუბალი და თუთა. შეხვალთ ბაღში, თქვენ ყნოსვას დაატკბობს სხვა და სხვა სუნნელოვანი ყვავილების სუნი; შეხვალთ—და გამოსვლა აღ-რ გინდათ; იქ ყველა ფერი ისე რიგზე და კარგათ არის. იმათი მიბაძვა რა საჭირო არის? შეხვალთ ქართველის ბაღში, რას ნახავთ? ვაზები დგანან რაღაც უჯმაჯურათ გარიგებულები, შიგ ხეხილებია არეული, რომლებიც სიცხის დროს ვაზებს უჩდილებენ (ქართველს კაცს ჩრდილი ძალიან უყვარს!); ვაშლი სდგას, ტყის მაჟალოდგან ძლივს გამოირჩევა, მსხალი სდგას—ტყის პანტიდგან და ყურძენი—ხევების კრიკინიდგან. რა კარგია!? ყველაფერი პირველი პატრიარხული დროების მდგომარეობაშია! დაილოცოს. ყველაფერი თავის ქერქშია! ქართველების ბაღებში ვაზები ისე არიან ერთი ერთმანეთზე გადახლართულები, რომ ყველასთან მიდგომა ძალიან ძნელია; თუ მოინდომეთ უნდა ღობე მძვრალა ჩიტივით ვაზებში გაძვრეთ და გამოძვრეთ, უამისოთ ვერაფერს ვერ გააწყობთ. ეს კარგია, რასაკვირველია, ქურდები ადვილათ ველარ მოიპარვენ ყურძენსა! ამის გარდა ქართველებს კიდევ სხვა რამეები აქვთ ბაღებში ქურდების დასაჭერათ,—თითო ფეხის გადადგმაზე ყარაულები უყენიათ. ამისთანა ყარაულებს ნემენცების ბაღებში ვერა ნახავთ! კარგი გამბედავი კაცი იქნებით და მარიამობის თვეში ან ენკენის თვეში ბაღებში შეხვალთ, სადაც ამ დროს ყველაფერი მოწეულია და პატრონის ხელს მოელის: მე ვიცი ზოგი ერთს ან სული წასძლევთ, ზოგს კიდევ მეტის-მეტი გულადობა წააქეზებს და ბაღებში შეისეირნებენ. შესვლა იმათი და მორეული ძურწა ბალახის და გამხმარი ძირხვენა ბალახის ეკლიანი თავების შემოხვევა ერთი იქნება; თუ

ლერიანები. ის გამოჰკითხავდა ხოლმე იმათ თავიანთ მდგომარეობას, თავის პირით ანუგეშებდა ავათმყოფებს და თავის ხელით უვლიდა.

— პარიჟიდამ, 25 ივნისს (7 ივლისს), სწერენ „ნაციონალო გაზეთში": „იმპერატორი ფრანცი-იოსები ყოველს გვარს მსხვერპლზედ მზათ არის. ის ასეთი გულ-უხვი შეიქნა, რომ მთელი ვენეციის მხარე სრულებით უბრალოთ აჩუქა ნაპოლეონს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ მხარის ციხეებიდამ წაიღოს თავისი საჭურველი, სამხედრო ავეჯოულობა და ყველა ზარბაზნები".

**ანგლია.** ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ა ნ გ ლ ი ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა. ყველა ლონდონის გაზეთები განცვიფრებულნი არიან და სიტყვითაც ვერ გამოუთქვამთ თავიანთი განკვირვება იმ შემთხვევის გამო, რომელიც ამ უკანასკნელს დღეებში მოხდა. ბევრი გაზეთი ჰკიცხავს ვენეციის დათმობას იმ სახით, როგორათაც ავსტრიის იმპერატორმა ეს მოახდინა და არც სჯერათ, რომ მშვიდობიანობა მალე დამყარდეს. „ტაიმსი" (Times) აი რას ამბობს: „ამ უკანასკნელს დროში მოხდა იმისთანა განსაცვიფრებელი საქმე, რომ ჯერ ნამდვილათ ვერც კი განგვიხილავს, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმას ევროპაში. ერთი უპირველესი ამ ქვეყნის სამხედრო სამონარხო (სახელმწიფო) რამოდმნისამე სასტიკის ბრძოლით სრულებით დაილეწა, მაშინ როდესაც თვით ხელმწიფეს და ხალხს ეგონათ, რომ ომი ეს არის ახლა იწყებაო. ვატერლოს ბრძოლის აქეთ არც ერთს ევროპის სახელმწიფოს არ გამოუცდია ამისთანა დამარცხება, როგორიც ავსტრიამ გამოსცადა კენიგგრეცთან... კენიგგრეცის ბრძოლა სოლფერინოს ბრძოლაზედ უფრო დამღუპავი იყო. მხოლოდ ნაპოლეონი I კი იწერებოდა ბრძოლის ველიდამ თავის განსაცვიფრებელს ბიულეტენებს, თორემ იმის შემდეგ არავის ახსოვს, რომ ბრძოლის ველიდამ მიეღოთ იმისთანა ამბები, როგორიც ამ მოკლეს ხანში მოგვივიდა. ავსტრიის იმპერატორმა იმავ წამს ამ რიგათ გადასწყვიტა:—იმას აღარ სურს ომი განაგრძოს, ამისთვის რომ ველარას გააწყობს. იმის უმთავრესი არმია ისე დამარცხდა, რომ ამისთანა დამარცხების შემდეგ ვერას ღონის-ძიებით საქმე კარგათ ეღარ წავა. ეს დამარცხება ამტკიცებს მტრის ძალას, რომლის წინააღმდეგობას ავსტრია ველარ გაჰბედავს. ფრანცმა-იოსებმა დაუყონებლივ მიილო იმპერატორის ნაპოლეონის შუამავლობა, რომ ომი მოისპოს.

"ძალიან გვიან არის„—ბევრი იტყვის. ჩვენც ვიტყვით „გვიან არის, მაგრამ არც ძალიან გვიან არის." ავსტრიას ახლაც შეუძლიან დაიცვას თავისი ღირსება, როგორც უმთავრესის სახელმწიფოსი, თუ რომ დაუთმობს იმას, რაც 1859 წელს აქეთ იმას აღარ უნდა ჰქონოდა. ავსტრია ეწინააღმდეგებოდა ამას, რასაც ევროპის საჭიროება მოითხოვდა: იმას უნდოდა, რომ არც იტალიაში და არც გერმანიაში ერთობა არ ყოფილიყო. გერმანიის ხალხი, იტალიის ხალხი და თვით ავსტრიასა მოხარულნი უნდა იყვნენ, რომ დიდის ხნის განხეთქილებას დასასრული მიეცა. ფრანციამ კმაყოფილებით მიილო ის მდგომარეობა, რომელიც გერმანიისა და იტალიის საქმემ იმას მიანიჭა და რომლის მოხდომაც წინათვე საფიქრებელი იყო.

ჩვენ გვგონია, რომ ავსტრიის იმპერატორის ღირსება უფრო იმას მოითხოვდა, რომ უშუამავლოთ დაეჭირა საქმე თავის მტერთან.

ავსტრიის ღირსებას ბევრი დააკლდება იმითი, რომ ის სხვა ხელმწიფისგან დაიცვის.

სამხრეთის გერმანიაში აზრი ძალიან შეიცვალა იმის შემდეგ, რაც იქ შეიტყეს, რომ ფრანცმა-იოსებმა სთხოვა ფრანციას შუამავლობა. ფრანკფურტს-მაინზედ პრუსსიის მომხრე ლიბერალები ძალიან ჩაფიქრდნენ, როდესაც შეიტყეს ამგვარი მოქცევა ავსტრიისა. „ფრანკფურტის გაზეთი" კიდეც ამბობს: „ეჭვი არა გვაქვს და ცხადიც არის, რომ ავსტრია ამ გვარის მოქცევით თავის თავს დაიფარავს! მაგრამ გერმანიამ რაღა უნდა ქნას? უწინდელზედ უფრო ახლა არის საჭირო, რომ გერმანიის ხალხმა ხმა ამოიღოს.

— ლ ო რ დ ე ბ ი ს პ ა ლ ა ტ ა.—9 ი ვ ლ ი ს ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა.—ლორდმა დერბიმ წარმოსთქვა: მე მაშინვე უარს ვიტყოდიო მინისტრობაზედ, რომ ნამდვილათ არ მცოდნოდაო, რომ მოლიბერალე პარტიის მოთავეებს არ შეუძლიანთ სამინისტროს შედგენა. ლორდი დერბი აგრეთვე ამბობს, რომ ანგლიის მმართებლობას ექნება მეგობრობა უცხო სახელმწიფოებთან და იმათ საქმეში არ გაერევა. ლორდს დერბის იმედი აქვს, რომ კონტინენტზედ (ხმელეთზედ) მშვიდობიანობა მალე დამყარდება. თუ საჭირო იქნება, ანგლიის მმართებლობა მზათ არის მშვიდობიანობის მოსახდენათ მოიხმაროს ყოველი ღონის ძიება, რაც კი იმისგან შესაძლოა. ორატორი იმედოვნებს, რომ ანგლიასა და შეერთებულს შტატებს შორის კეთილი თანახმობა არ დაირღვევა. ის მადლობით მოიხსენებს სწრაფს და ენერგიულს განკარგულებას, რომელიც იმან მოახდინა ფენიობის (феніянизмъ) მოსასპობელად. ლორდი დერბი აცხადებს, რომ იმას ურჩიეს სარეფორმო პროექტის წარმოდგენა; მაგრამ ის ამ გვარს პროექტს არ წარმოადგენს, თუ მართლა დარწმუნებული იქნება, რომ ამ პროექტს არ მიიღებენ. აქედგან სჩანს, რომ ახალი კაბინეტი ჯერეთ არ წარადგენს სარეფორმო ბილლსა. ამასთანავე ლორდი დერბი დაუმატებს, რომ ის ყოვლის ღონის-ძიებით ეცდება ირლანდიას მოუპოვოს კეთილ-დღეობა. მმართებლობა სრულის განრისხებით მოექცევა იმათ, რომელნიც განიზრახვენ აღრეულობის მოხდენას.

**ავსტრია.** ერთს ვენგრიის ქალაქში პეშტში ამბობენ, რომ ვენგრიის სეიმი (კრება) ხელახლა უნდა შეიკრიბოსო. ერთი ფრანცუზული გაზეთი (Ind. Belge) აცხადებს, რომ უფრო სჯობს სეიმი არ დაითხოვონ და რაც სურთ ვენგრიელებს ყოველივე აღუსრულონო. კოშუტის პროკლამაციამ და ემიგრანტების ცდამ, ვერა გაარიგა რა: ვენგრიის ხალხი გაბსბურგის საიმპერატორო სახლობას ჯერ არ განდგომია. მაგრამ არც ვენგრიელებს სურთ გაერიონ იმ ბრძოლაში, რომელიც პრუსსიელებს და ავსტრიელებს მოუვიდათ ფულის სასესხებელს სიაზედ ხელს ძალიან მძიმეთ აწერენ. მხოლოდ რამოდენმა მაგნატებმა (დიდ-კაცებმა) და სასულიერო წოდების კაცებმა მოაწერეს ხელი ამ სიაზედ. აქამად ვენგრიის ყოვლის მხრიდამ მისდის თხოვნა მმართებლობას, რომ ახალი სალდათის მოკრეფა არ მოახდინონ.

**კოშუტმა** გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც ის მოუწოდებს [illegible], ავსტრიას განუდგეს.

**იტალია.** საზოგადოების აზრი იტალი... მილანიდამ, 5 ივლისს, გაზეთში Ind. Be... იწერებიან: „უეჭველია აქამომდე თქვენამ... მოაწევდა განსაცვიფრებელი ამბავი. თ... იქნება გეგონოთ, რომ ჩვენ ეს ამბავი გაგ... ხარებდა? არა. სიხარულის მაგივრათ ჩ... იმან გაგვაოცა. ავსტრიის წინადადებამ დი... შეურაცხება მიაყენა იტალიას. ერთი იტალ... ელი გაზეთი ძალიან ცხარეთ ამბობს და იმ... სიტყვები ამ შემთხვევაში სრულებით გამ... ხატვენ იტალიის მდგომარეობას. აი ის რ... ამბობს ახლანდელს შემთხვევაზედ: „რო... საც ჩვენი მტერი ტალახში ჩავარდა იმან ... ლო ერთი მუჭა ამ ტალახისა და ჩვენ ცხვ... პირში გვესროლა". ფრანციის იმპერატო... შეუძლიან, რასაკვირველია, დაიკვეხოს, რო... ავსტრია ვენეციას უთმობს ფრანციას, რო... მელსაც გროშიც არ შეუწირავს ამ მხარ... განსათავისუფლებლად. მაგრამ ჩვენ კი უე... ველია, სამაგიერო უნდა გადაუხადოთ ავს... რიას შეურაცხებისთვის. თუმცა მორიგებაშ... ჩვენ არ ვრევივართ, მაგრამ ეს ხომ მაინ... დამტკიცდა რომ სხვებში ჩვენცა ვართ; ჩვ... კიდეც დავღვარეთ ჩვენი სისხლი და ფულ... შევსწირეთ. თუმცა კუსტოცასთან ჩვენი ღ... ნერლები ძალიან ცუდათ მოქმედობდნენ, მ... გრამ ჩვენმა არმიამ ხომ მაინც დაამტკიც... რომ იმასაც კი აქვს თავის ძალა და იმისი გ... უპატივრება უქმად არ ჩაივლის. ჩვენ ვით... ხოვთ ვენეციას, რადგანაც ის იტალიის მ... წაა; ჩვენ იმისკენ მივისწრაფით იმისთვის, რო... თვითონ იმას გამოუწვდია ხელები ჩვენ მის... ღებათ. მიწების შემოერთების გარდა, ჩვენ გვი... და, რომ გავნთავისუფლდეთ სხვის მფარველო... ბისგან და დავამყაროთ ჩვენი თვით-არსებო... ბა. ამ შემთხვევაში ავსტრიის წინადადებ... ჩვენთვის დიდი შეურაცხებაა; ჩვენ რომ ა... წინადადების კმაყოფილნი გავხდეთ, მაშინ ცხ... დათ დამტკიცდება, რომ ჩვენ მარტო ჩვენი... საშუალებით თვით-არსებობა არ შეგვიძლიან... იქნება ჩვენ ძალიან ძვირათაც დაგვიჯდეს ის... რაც ჩვენ უნდა მოგვცემოდა. აბა ახლა რ... ვქნათ, რა განვიზრახოთ? ვენეცია ეკუთ... ვნის ფრანციას, რომელმაც იქნება კ...

---

მუხლების ძალა არ მოიხმარეს, ერთ ალაგსვე გააჩერებენ. ვაი ტანისამოსის ბრალი ამ დროს! ერთი სიტყვით, ამ ყარაულებით ჩვენი ქართველების ბაღები „შეხვალ და ველარ გამოხვალ"—არაკში მოხსენებულ ბაღჩასა ჰგვანან. აბა ახლა მინდვრისკენ გავისეირნოთ, ქერი, პური და სიმინდი ბევრი სთესია, მაგრამ ერთი ალთასა, მეორე ბალთასა. ყანების შუა შიგა და შიგ საბალახე ადგილები აქეთ გაშვებულები, სადაც საქონელმა უნდა სძოვოს. ამ გარიგების მოწყალებით ყველა ნახნავს თავბოლო მოჭმული აქვს და გვერდები გამოხრილი; ამას ვინა ჩივის, შიგ შუაშიაც მოსდებია შალათა და ნარა ბალახი, რომლებსაც პური, თუ ქერი ისე ჩაუთუთქავთ, ისე მიუჭყლეტ-მოუჭყლეტიათ, თითქო სეტყვა მოსულაო. ზოგ ალაგას ნიაღვარი მოვარდნილა და ნახნავის ცალი მხარე სულ წაუღია.—

—ერთი სიტყვით, ჩვენი მინდვრები ასეთ მდგომარეობაშია, რომ თუ უცხო კაცმა ნახა ვინმემ, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ვითარება არ იცის, საცა შეხედავს, ყველგან აყრილი, მოოხრებული სოფელი ეგონება. ამ მდგომარეობაში გახლავთ ჩვენი მინდვრები აპრილში და მაისში. აბა ახლა მკათათვეში ენახოთ: ყანებს მუშები დახვევიან, გააქეთ გუგუნი, „ჰეპუნა" „ჰოპუნას" დასძახიან და მკიან. აბა დააცქერდით, რას ხედავთ? აქა-იქ მიწა დატლეკვნილია, თითქო ზედ კამბეჩებს უბულრავნიათო. ეს ნამგლებისაგან ძირიანათ ყანის ნაგლეჯის ადგილები გახლავთ; ამ ყანის ნაგლეჯებსაც ზედ კორთ-კორთი მიწები აქეთ შერჩომილი, რომლებიც ბოლოს ბზეში და პურში უნდა ჩაერიოს. გახედეთ ნამკალ ადგილზედ, სულ თავთავებით მოფენილია. ეს მეტის მეტი ცხარი მუშაობისაგან გახლავთ: მკაში იმტვრევა თავ-თავი და ძირს იბნევა, რაც შემდეგ ფრინველებმა, თაგვებმა და საქონელმა უნდა აკრიფონ. უთუოთ ესენი ქართველებს ძალიან ეცოდებათ, რა ქნან ძალიან გულ-ჩვილები და ყველასთვის მზრუნველები არიან!? აი, მკითხველო, მინდვრებიც რა კარგს მდგომარეობაში არიან!? აბა ახლა შინ მოვბრუნდეთ, სოფელს დავხედოთ: წაღმა უკუღმა გადარეული სახლები სდგანან, რომლებიც მიწაში ჩამძვრალან (*), თითქო ეშინიანთ რისამე და ემალებიანო; ყველა სახლის წინ და უკან დაგროებული გახლავთ უსუფთაობა და ნაგავი, რომლების სუნითა სუნთქავენ ჩვენი მუდამ შინ მსხდომი ქალები. სახლებსაც ზოგს კედელი აქვს ჩამონგრეული, ზოგს ბაკი აქვს შემოფუშული, ზოგს ბანი აქვს ჩამოწოლილი. შინაც რომ შეხედეთ, სუყველაფერს ამ რიგზედ ნახავთ..... აი ჩვენი ქართველი კაცის, გლეხია თუ მებატონე, მეურნეობა! კარგია განა?—ეს გარეგანი ჩვენი ქართველების და მათი ცხოვრების მდგომარეობა; აბა ახლა თითონ იმათ დავაცქერდეთ: ეს ზემოთ მოხსენებული იმათი ცხოვრება ცხადათ გვიჩვენებს იმათ შინაგანს ღირსებასაც; აშკარათ სჩანს, რომ ისინი მოკლებულნი არიან ცოდნასა, სწავლასა და ჭკუის ვარჯისობასა. სწავლა სძულთ და ცხოვრებისა მათ არა გაეგებათ რა. მაგრამ ამას რას ვამბობ, როცა ბევრი მათგანი ლიტერატურობას და პოეტობასაც ჩემულობს?! მზე, მთვარე, დილა, სალამო, მდინარე, მთები, ქარი, ნიავი, წვიმა, თოვლი, ქალი, ცხენი, ხარი და სხვანი მრავალნი ბევრჯელ აქვს და აქებენ კიდეცა პროზით, თუ ლექსებით. ზოგი თავადაზნაურობას აქებს და ხალხს ტირის, რომ ამათ უპირველოთ ცხოვრება არ შეუძლიანთო; ზოგი კიდევ იმას იძახის, რომ თუ დიდი და განთქმული გვარტომიანობა არა გაქვსო, ვერ იცხოვრებთო, როგორც ხე უძიროთაო. —მეტი რაღა გინდათ, ეს სწავლა არ არის? დიახ, ძალიან ბრძნები გახლავან, სხვა და სხვა საგნებს ფილოსოფიურათ ხსნიან, განმარტვენ და ამტკიცებენ! მაგრამ მაინც კიდევ საზოგადოთ სწავლა არა აქვთ, ცხოვრება არ ესმით; თითონ არასა სწავლობენ და თავიანთი შვილებიც თავიანთ გზაზე მიჰყავთ. ქართველო კაცებო, მიჯავრდებით განა! ნუ გამირისხდებით, კიდევ უფრო კარგებს გეტყვით: ერთი მამულის მოსავლელი გაზეთი გამოდის, რაშიაც ხან და ხან ბევრი კარგი და სასარგებლო დარიგებები არის ხოლმე საქონლის... თუ მამულის მოვლაზე, მაგრამ ამასაც არა კითხულობთ და არც იწერავთ. თუ იწე... რავს ვინმე—ისიც იმისათვის, რომ ჩიბუხს იმის ნახევებით სამთლიდგან ცეცხლი მოუკიდოს. ჩემო ქართველო, შენ იმის დარდი არა გაქვს, რომ წაიკითხოვო და ისე მოიქცეო, როგორ დარიგებასაც იძლევიანო. ქართველ კაცს კითხვისათვის სადა სცალიან, საქმე ბევრი აქვს, თუმცა კი საზოგადოთ ცოტას აკეთებს! შვილების სასწავლებლებში მიცემაც ძალიან ეზარებათ (*). თუ მისცემენ სასწავლებელში, ისიც სამხედრო შკოლებში და სემინარიაში, სადაც მუქთათ ზრდიან.............

შემდეგი იქნება.

(*) ამბობენ კახეთში ზეზე სახლები იციანო; (*) ეს არ ვიცი. ქართლში და სომხეთში კი სწორეთ ისე, როგორც მოგახსენეთ. იმერეთშიც ზეზე სახლები იციან, რომლებსაც ფიცრებისაგან სდგამენ და რომლებსაც იმდენი ფარღალალები და ჭუჭრუტანაები აქვს, რომ ქარი და სიცივე ყველა მხრიდამ არხეინათ დასეირნობს.—

(*) მართალია, იქ აშენებენ ზეზე ხის სახლებს.

რედ.

(*) იქნება, მკითხველო, არ დამიჯერო და სთქვა, რომ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში ორი გიმნაზიები გვაქსო და მესამეც—აგერ ახლა გახსნესო, მაშ ვინ სწავლობენ იქ, თუ არ ქართველებიო? ნუ მოსტყუვდები, ჩემო მკითხველო; იმათში ქართველების შვილები ცოტანი სწავლობენ. აი თუნდ მაგალითათ შარშანდელი წელიწადი ავიღოთ. შარშან ტფილისის გიმნაზიაში მარტო ოთხმა ქართველმა დაასრულა კურსი, რომლებშიც ორმა ქართული ლაპარაკი და წიგნი სრულებით არ იცოდა. ქუთაისშიც ხუთმა დაასრულა. რა ბევრია, მკითხველო!? მთელ ქართველებში წელიწადში შვიდს კაცს მიუღია საშუალო სასწავლებლების განათლება.!—

დეც დაამყაროს იქ თავისი უფლება. ავსტრიამ დაუბრუნა ფრანციას ვენეცია იმავე წესით, რა რიგათაც თვითონ ავსტრიამ მიიღო ეს მხარე კამპო-ფორმიის შერიგებით. მაგრამ ნაციონალო პრინციპი სადღაა? საერთოდ გამოცხადებული ხალხის სურვილი და ნება სადღა დაიკარგა? ენა, ლიტერატურა, გარდმონაცემი და ისტორია ნუ თუ ესენი არას მოასწავებენ. ავსტრიამ არც ერთს ამას ყურადღება არ მიაქცია. ავსტრიამ შეურაც-ჰყო ძველი და ახალი პრინციპები და მძლეველთა სიმართლე; იმან ჰგმო დაბადებით მოპოვებული სიმართლე, ხალხების და ხელმწიფეების უფლებანი. საკვირველია, რომ ამასთან ჩვენ ბედნიერებს გვეძახიან! ჩვენი ფონდები მატულობენ პარიჟის ბირჟაზედ და ფრანცია მიიღებს ავსტრიის წინადადებას! დარწმუნებულნი იყავით, რომ ჩვენ ეს ღრმათ ჩაგვრჩა გულში და იმ დროს, როცა მე ამასა ვსწერ, ჩემს სახლის ფანჯრებს არ განაშვენებს არც ერთი დროშა, სიხარულის ნიშნად. მილანის მცხოვრებნი დიდათ მწუხარეობენ. მხოლოდ ერთი კლერიკალები (სასულიერო წოდება) სიხარულით აღტაცებულნი არიან. როცა ამ უკანასკნელს დროში პროტესტანტები სძლევდნენ, კლერიკალები დაღონებულები თავ-ჩამოკიდებულნი დადიოდნენ. ახლა, რასაკვირველია, ფრთები გაიშალეს და ცხვირაწეულები დაფართფარებენ. ისინი ამბობენ: „დაე, დაუთმონ ვენეცია, რომი ისევ იტალიისაა. პაპის სამოქალაქო უფლება დახსნილია! იმას ვერაფერი შეარყევსრა!!“ მაგრამ ეს ჩვენი მტრები დიდხანს ვერ იხარებენ. ჩვენ ყველანი შევსწირავთ თავს მამულს და არ დავიზოგავთ იმისთვის სიცოცხლეს და ჩვენს ყოფა-ცხოვრებას. გარწმუნებთ, რომ ახლა იტალიის საზოგადო მდგომარეობა ისეთია, რომ ის გამზადებულია მოიხმაროს ყველა თავ-განწირულნი ღონისძიებანი.

**ამერიკა.** 27 ივნისს ნიუ-იორკიდამ გვაცნობებენ: „სენატმა დაამტკიცა ბილლი, რომ ორის წლის ვადით კიდევ დარჩეს ბიურო, რომელიც სამხრეთის შტატებში დაწესდა განთავისუფლებულის ნეგრების დასაცველად და იმათ შესაწევნელად. ეს ბილლი დეპუტატ-პალატაში დასამტკიცებლად უნდა წარადგინონ. პრეზიდენტმა ჯონსონმა შეადგინა სია იმ ამერიკის მოქალაქეებისა, რომელნიც habeas-corpus გაუქმების შემდეგ წავიდნენ ირლანდიას. ჯონსონმა უნდა მისცეს პასუხი ამ მოქალაქეებზედ შემდგარს რეზოლუციას, რომელიც შესდგა უკანასკნელს დროს დეპუტატთ-პალატაში. შტატის ნიუ-ჯერსეის ქალაქში ელისაბედაში გაჩნდა ხოლერა. ორმოც ხოლერიანში თერთმეტი მოკვდა.

**სამხედრო ამბავი გერმანიიდამ.** „კელნის გაზეთში„ სწერენ სამხედრო ამბებს, რომელნიც საშუალ გერმანიაში მოხდნენ ბავარიელებთან შეტაკებისგამო: ეიზენახი, 4 ივლისს. —დღეს ძლიან ცხარეთ ეძგერნენ ერთმანეთს პრუსსიელები და ბავარიელები. ბავ რიელებმა კარგი ზარალი ნახეს იმ წვრილმან ჩხუბებში, რომელნიც მოუხდათ ერთმანეთში პრუსსიის და ბავარიის წინა რაზმებს. ბავარიელები კიდეც გაბრუნდნენ უკან იმმელბორნთან. დღეს პრუსსიის ჯარი კარგა ბლომათ შეიკრიბა და დაეცა ბავარიელებს, რომლებიც იყვნენ გამაგრებულნი ვიზენტალთან. ლენგეფელდს ისმოდა ზარბაზნების ხმა დილის 9 საათიდამ შუადღის ორ საათამდის გაუწყვეტელად. თუმცა პრუსსიელებს დიდი ზარალი მიეცათ, მაგრამ ბავარიელებმა მაინც დაუტევეს მტერს თავის პოზიცია. ბავარიელების პოზიცია ძლიან მომარჯვებულს ადგილზედ იმყოფებოდა. იმათ ეჭირათ ვიწრო ხევი. აქამდინ არავინ იცის ბავარიის ჯარი კიდევ ვერნსლაუზენთა თუ არა; ეს კი იციან, რომ გუშინდელს ბრძოლის შემდეგ ბავარიელები იქ მიიქცნენ. პოზაში რომ აღარ არის მტრის ჯარი, ეს კი ნამდვილია. ბავარიის ჯარს უნდოდა ტიურინგის რკინის გზა წაეხდინა, მაგრამ ველარ მოახერხა“.—იმავე გაზეთში სწერენ, 23 ივნისს (5 ივლისს), გიუნფელდიდამ: „პრუსსიისა და ბავარიის შუა გუშინ რომ ომი იყო, ამაზედ კიდეც მოგწერეთ, მაგრამ გუშინ საღამოს ამ ჩხუბს მიჰყვა კიდევ სხვა ბრძოლა, რომელიც გაიმართა გიუნფელდიდამ მოკიდებული ფულდამდის. ამ ბრძოლაში პრუსსიის ხუთ ბატალიონს შეება თორმეტი ბატალიონი ბავარიისა. ბავარიის ჯარი გადარეკეს თავის პოზიციიდამ და სამი სოფელი იერიშით აიღეს. ერთს სოფელს პრუსსიელები სამჯერ დაეცნენ და შემდეგ აიღეს.“

—„მაგდებურგის გაზეთში“, 25 ივნისიდამ (7 ივლისიდამ), სწერენ, რომ „გებენის დივიზიასა და ბავარიის ჯარს შუა, 22 ივნისს (4 ივლისს), გაიმართა ბრძოლა ზალცულგენის სამხრეთით. ბავარიელებს უკან დაწევინეს და, როგორც სჩანს, ისინი ველარ ბედავენ მეტს წინააღმდეგობას; პრუსსიელების მხრით 250 კაცი დაიჭრა და 60 კაცი მოკლეს; დაჭრილებს აქიმობენ; მოკლულები მიწას მიაბარეს. ბავარიელებს მოუკლეს და დაუჭრეს 300 კაცი. იმპერატორის არმია უკან მიიქცა მაინისკენ.

„Memorial diplomatique“ ში არის დბეჭდილი ქვეით მოხსენებული კალენდარი, რომელიც გვიჩვენებს რა მსწრაფლ მოხდება ამ დროს უმთავრესი სამხედრო ამბები და რა წარმოსდგება იქიდგან.

2 (14) ივნისს. კავშირის ეგზეკუცია შეაწერეს გერმანიის სეიმებს.

4 (16) — — პრუსიელები შევიდნენ ლეიბციღს, ჰესსენს და კასსელს. ლებაუ (ქალაქია) დაიჭირეს.

5 (17) — — პრუსსიის ღენერალი ფოგელი შევიდა ჰანოვერის კაროლის სატახტო ქალაქში.

6 (18) — — პრუსსიის ორმა პოლკმა დაიჭირა მარიენტალი, ოსტრიცა და ლაუბაუ ბოჰემიაში. პრუსსიის კავალერიამ დაიჭირა გერენშტადტი. დრეზდენი დაიპყრეს.

7 (19) — — ჰანოვერის ჯარებმა თავი დაანებეს ვილჰელმის ფორტს. პრინცი ვილჰელმი ჰანაუსისა დაიჭირეს ტყვეთ. პრუსსიის და ავსტრიის კავალერია შეხვდნენ ერთი ერთმანეთს რუმბურგის გზაზედ.

10 (22) — — 7 ათას პრუსსიელებმა დაიჭირეს ნიკსდორფი.

11 (23) — — პრუსსიელებმა დაიჭირეს რუმბურგი.

12 (24) — — დროებით მორიგება პრუსსიელების და ჰანოვერელების შორის.

13 (25) — — ომი იუნგბუნცლაუსთან ავსტრიელების და პრუსსიელების შორის. პრუსსიის ჯარმა დაიჭირა რეიხენბ რგი და ტრაუტენაუ (ბოჰემიაში).

14 (26) — — საქმე ტურნაუსთან.

15 (27) — — პრუსსიის მემკვიდრე პრინცის არმიასა ჰქონდა ომი ნახოდთან. ომი ოსვეციმთან. ომი პრუსსიელების და ჰანოვერელების შორის ლანგენგოლმთან. ღენერალ შტეინმეცმა გადასტყორცნა ავსტრიის კორპუსი რამმინგისა იოზეფშტატისკენ. იმავე პრუსსიის კორპუსსა ჰქონდა საქმე მე 6 და მე 8 ავსტრიელების კორპუსებთან, ერცღერცოგი ლეოპოლდის წინამძღომლობით.

16 (28) — — ომი ტრაუტენაუსთან. ფრიდრიხ-კარლის ჯარიც ურევია საქმეში, რომელიც იყო მიუნხენგრეცთან.

17 (29) — — კაპიტულიაცია ჰანოვერის არმიისა. პრუსსიის ჯარმა აიღო გიჩინი.

18 (30) — — ომი კორცთან, ტურნაუს ახლო და ხვალკოვიცთან, კამიცის და კენიგსგსგოფის შორის. ავსტრიის არმიის კორპუსმა, ღენერალი კლამ-გალლასის წინამძღომლობით, დაიწია უკან კენიგგრეცისკენ.

19 ივნისს (1 ივლისს). ომი გიჩინთან.

20 ივნისს (2 ივლისს). პრუსსიის კაროლი ვილჰელმი მივიდა გიჩინს. მემკვიდრე პრინცის არმია და პრინცის ფრიდრიხ-კარლის არმია შეერთდნენ.

21 ივნისს (3 ივლისს). ომი სადოვასთან.

### სამხედრო ამბავი იტალიიდამ.

როგორც ფლორენციიდამ გვაცნობებენ, 9 ივლისს, ჩიალდინის არმია წინ მიდის. ამბობენ, რომ ავსტრიელებმა უმეტესი ნაწილი სამხრეთის არმიიდამ გაგზავნეს ჩრდილოეთისკენ და იმათი ძალა ახლა ისე შემცირდა, რომ ფიქრშიაც აღარა აქვთ ოთხკუთხის დაცვა. ჩიალდინი ვერონისკენ მიდის. ამბობენ, რომ ამ ციხეს რამოდენსამე დღის განმავლობაში დაიპყრობენ იტალიელები. როგორც სჩანს იტალიის არმიას განუზრახავს წასვლა პადუისკენაც. რაკი იტალიელები ოთხ-კუთხს დაიჭერენ, მაშინ ჩრდილოეთის საზღვარი ხელში ექნებათ.

ბრესჩიიდამ „კელნის გაზეთში“ სწერენ, 5 ივლისს, რომ გარიბალდიმ მხოლოდ რიკაზოლის თხოვნით განიზრახა ტიროლზედ დაცემა. მინისტრს პრეზიდენტს იმედი ჰქონდა, რომ გარიბალდის გამარჯვებით განამხნევებდა იტალიის ჯარს, რომელიც ასე უიმედობაში ჩავარდა ამ უკანასკნელს დროს. გარიბალდი დასთანხმდა მინისტრ-პრეზიდენტის თხოვნაზედ, როგორც „კელნის გაზეთის“ კორრესპონდენტი ამბობს, და განიზრახა მტერზედ დაცემა, სადაც უნდა შეხვედრნოდა, თუმცა კი იცოდა, რომ იმას იმ ჟამათ იმდენი საშუალება არა ჰქონდა, რამდენიც საჭირო იყო და თვით მტერსაც უფრო მარჯვე ადგილი ეჭირა მთის წვერზედ. 3 ივლისს დილით ადრე იტალიის ვოლონტერების ბატალიონებმა გაიარეს როკკა, ამფო და ბოგოლინოს მიჰმართეს. ვოლონტერების რიცხვი იყო 2 ათასი. იმათ დაიჭირეს მონტე-ზუელოს სიმაღლე. სხვის მხრით ავსტრიელებმაც ამოირჩიევს უკეთესი ადგილი და ამის გამო ისინი ძალიან უმაგრდებოდნენ ხოლმე ვოლონტერების ყოველს ცხარე დატაკებას. ბრძოლა ნაშუადღის $1\frac{1}{2}$ დაიწყო და გათავდა საღამოს 6 საათზედ. ვერც ერთი მხარე ვერ დაიკვეხებს, რომ გაემარჯვნოს. იტალიის ვოლონტერების ბერსალიერები კატებივით ადიოდნენ ციცაბ მთაზედ. მაგრამ ავსტრიელების მარჯვე თოფის სროლა იმათ ყოველთვის უკან გაბრუნებდა ხოლმე. იტალიელი ვოლონტერების საუბედუროთ დაუშვა მსხვილმა წვიმამ; წამალი დაუსველდათ და რამოდენსამე დროს ხელდახელ იბრძოდნენ. ამ შემთხვევაში გარიბალდი დაიჭრა. ის წინ მიუძღოდა ვოლონტერებს ხმალ-ამოღებული. გარიბალდი ცოტათი თეძოში დაიჭრა. იარა ისე სამძიმო არ არის, მაგრამ ორს კვირასან ათ დღეს მაინც დაუშლის გარიბალდის ცხენზედ შეჯდომას. ოფიცრები, რომლებიც იტალიის ვოლონტერებს წინამძღომლობდნენ, თითქმის ყველანი ან დაიჭრნენ და ან დაიხოცნენ. იტალიელები აპირობდნენ უკან გაბრუნებას, მაგრამ ამ დროს გაიგეს, რომ ავსტრიელებმა არამც თუ თავისი პოზიცია დასტოვეს, არამედ ვალლო-კაფარიდამაც კი წავიდნენ. გარიბალდიმ ისევ მოაბრუნა თავისი ჯარი, რომელიც უკან დაბრუნებას ემზადებოდა და ამ სახით ბრძოლის ველი დაიჭირა.

### ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

ტფილისში მიღებული.

**პეტერბურგი,** 15 ივლისს. პრუსსიის კაროლის შეურაცხებისთვის ფრანკფურტს შეაწერეს კონტრიბუცია (*) და ეკზეკუცია.

**პეტერბურგი,** 16 ივლისს. უნდა მოახდინონ ერთის თვის ვადით შერიგება, სამხრეთ-გერმანიის სახელმწიფოები შერიგებიდგან გამოირიცხეს; ვენეცია მიეცემა პირდაპირ იტალიას. სრული შერიგებაც შესაძლოა, რომ მოხდეს.

**პეტერბურგი,** 16 ივლისს. გაზეთი „მონიტორი“ აცხადებს: დიდის მწუხარებით დასთანხმდა ავსტრია იმ პირობაებზედ, რომლების ძალითაც ის უნდა გამოირიცხოს გერმანიის კავშირიდგან. ყველა ავსტრიის გაზეთები ერთის ხმით ითხოვენ ბელკრედის სამინისტროს დათხოვნას. გვარწმუნებენ, რომ იტალიასთან შერიგებულან რვა დღის ვადით. ამორჩევითი რეფორმის გამო ლონდონში მოხდა აღრეულობა; მმართებლობამ იხმარა სამხედრო და პოლიციის ძალა, რამოდენმეჯერ ხალხს თოფი ესროლეს.

**პეტერბურგი,** 18 ივლისს. შერიგებაზედ ხელი კიდეც მოაწერეს. ავსტრიამ უნდა მისცეს პრუსსიას 75 მილლიონი ფრანკი. სარდინია ფრანციას დაუთმეს. იქ წავიდა ფრანციის ფლოტი.

**პეტერბურგი,** 18 ივლისს. ოფიციალურათ გამოაცხადეს ვენაში, რომ 14-ს ნიკოლსბურგში ხელი მოაწერეს დროებით შერიგებაზედ და აგრეთვე საბოლოვოთ შერიგების საფუძველი დამყარდა ავსტრიას და პრუსსიას შუა. ავსტრია გამოდის იმ გერმანიის ნაწილიდგან რომელიც ახლა შესდგება; თანახმა არის ყოველს დაწესებაზედ, რომელსაც პრუსსია მოახდენს ჩრდილოეთის გერმანიაში. ავსტრია დაუთმობს პრუსსიას შლეზვიგსა და ჰოლშტინიას და აგრეთვე გადიხდის სამხედრო ხარჯის ნაწილს. „პრუსსის სახელმწიფო მაჩვენებელი“ სწერს, რომ პრუსსიის გაზეთებმა აღძრეს ცუდი ზედ-მოქმედება შერიგების მოხდენაზედ, რადგანაც ისინი ამბობენ, რომ გერმანიის კავშირის დაწესება სამხრეთის გერმანიასაც უნდა ეკუთვნოდესო. ჯერ პირველად საჭიროა, რომ დიდის წვალებით მოპოვებული ერთობა მიწა-წყლითა ჩრდილოეთის და საშუალო გერმანიაში დამტკიცდეს და შემდეგ უნდა დაფუძნდეს ჩრდილოეთისა და საშუალო გერმანიის სახელმწიფოების კავშირი. პრუსსიას შეუძლიან გადასდვას შემდეგ დრომდის განმარტება იმ სახელმწიფოების დაწყობილებისა, რომელნიც მაინის სამხრეთით მდებარებენ. „Constitutionel“ ამ გვარათ ამბობს ნიკოლსბურგის შერიგების საფუძველებზედ: ავსტრია დარჩება ხელ-უხლებლათ გარდა ვენეციისა, რომელიც იმას ჩამოერთმევა. აგრეთვე დაიცვის საქსონიის სიმრთელე; ის იქნება წევრი ჩრდილოეთის გერმანიის კავშირისა, პრუსსიის მფარველობის ქვეშ; გერმანიის სამხრეთის სახელმწიფოები შეიქმნებიან დამოუკიდებელნი და ნება ექმნებათ ცალკე კავშირი შეადგინონ. ბერლინიდამ გვაცნობებენ, რომ მაინზედ მოხდა ხელ-ახლა რამოდენიმე ბრძოლა, რომლებშიაც პრუსსიელები დარჩნენ გამარჯვებულნიო. იმპერატორი ნაპოლეონი და დრუენ-დე-ლუისი ვიშის წავიდნენ. ფრანციის ჩაჩქან-მოსილი ესკადრა ტულონიდამ გავიდა, მაგრამ არ იციან კი სად წავიდა.

(*) კონტრიბუცია არის ხარჯი, რომელსაც შეაწერენ დაძლეულს სახელმწიფოს ან დაპყრობილს ქალაქს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ევროპის ბირჟის ამბავი.

**ბერლინი, 1 (13) ივლისს.**

პეტერბურგზედ, 3 კვირით 74 ტალერს (1) აძლევენ 100 მანეთათ.

პეტერბურგზედ, 3 თვით 73 ტალერს აძლევენ 100 მანეთათ.

რუსული პოლუიმპერიალი ღირს 5 ტალ. და $14^1/_2$ ზილბერგროში. (2)

— —კრედიტის ბილეთებში—ასიგნაციებში 90 მანეთში აძლევენ 68 ტალერს. (3)

**ბერლინი, 2 (14) ივლისს).**

პეტერბურგზედ, 3 კვირით $75^3/_4$ ტალერს აძლევენ 100 მანეთათ.

— — — 3 თვით 73 ტალერს აძლევენ 100 მანეთათ.

პოლუიმპერიალი ღირს 5 ტალერი და $14^1/_2$ ზილბერგროში.

კრედიტის ბილეთებში—ასიგნაციებში 90 მანეთში აძლევენ $68^1/_2$ ტალერს.

**ბერლინი, 4 (16) ივლისს.**

პეტერბურგზედ, 3 კვირით 75 ტალერს აძლევენ 100 მანეთათ

— 3 თვით $73^3/_4$ აძლევენ 100 მანეთათ.

პოლუიმპერიალი ღირს 5 ტალერი და $14^1/_2$ ზილბერგროში.

**ლივერპული, 1 (13) ივლისს.**

ბამბის ფასი გამოუცვლელათ არის.

დღეს ბამბის ალებ მიცემა იყო 8 ათას ცალისა.

მოიტანეს 32 ათასი ცალი.

დამზადებულია 920 ათასი ცალი.

ბამბას ცოტას კითხულობენ.

**ნუ-იორკი, 7 ივლისს (19 ივნისს).**

ბამბის ვაჭრობა თან და თანკეთდება.

**ბერლინი, 17 (5) ივლისს.**

პეტერბურგზედ, 3 კვირით 76 ტალერს აძლევენ 100 მანეთათ.

— — — 3 თვით $74^1/_4$—100 მანეთათ.

პოლუიმპერიალი ღირს 5 ტალერი და $14^1/_2$ ზილბერგროში.

**ბერლინი, 18 (6) ივლისს.**

პეტერბურგზედ, 3 კვირით $75^1/_4$ ტალერს აძლევენ 100 მანეთათ.

— — 3 თვით $74^1/_4$ ტალერ. აძლევენ 100 მანეთათ.

პოლუიმპერიალი ღირს 5 ტალერი და $14^1/_2$ ზილბერგროში.

კრედიტის ბილეთებში 90 მანეთ. აძლევენ 68 ტალერს.

---

## სალიტერატურო ნაწილი.

## პარიჟი ამერიკაში.

### დოქტორი რენე ლეფევრის თხზულება.. (*)

წინ წადექ!

ყოველთვის და ყოველგან წინ წადექ!

ამ წიგნის თავი ზღაპრით იწყება. ერთმა თვალთმაქცმა, სახელად ჯონატანმა დრემ, მაგნიტიზმის ძალით, გადააფრინა დოქტორი რენე ლეფევრი ფრანციიდამ ამერიკაში. თვალთმაქცმა იმასთან გადაიტანა პარიჟიც (სადაც დოქტორი სცხოვრებს), იმისი ცოლშვილი, იმისი მეზობლები და ნაცნობები. ყველანი ამერიკელებად გადაიქცნენ. იმისი ცოლშვილი და მეზობლები წმინდა იანკებათ (**) გახდნენ. დაიბადა ამერიკაში ახალი პარიჟი ახალის, უცნობის ცხოვრებით. გაოცებაში მოდის დოქტორი რენე ლეფევრი, რომ ხედავს ამ ახალს ცხოვრებას, რომელიც იმას თავის დღეში არცკი მოსიზმრებია. ყველა გამოცვლილია. მხოლოდ ერთი დოქტორი დარჩა შეუცვლელი. იმას შერჩა ძველი ევროპიული აზრები, იმას აბია ფრანცუზის თავი. ჯერ პირველად დოქტორს ძლიერ ეხამება ეს ახალი ცხოვრება. ვერას გზით ვერ შერიგებია იმას, ებრძვის ამ ახალს ცხოვრებას, რაც კი ღონე და ძალა აქვს.. მაგრამ ვინ დასძლევს დაუძლეველს!!... ცოტა-ცოტათი დოქტორი ეჩვევა ამერიკის ცხოვრებას. ცოტა-ცოტათი თვალები ეხილება... ბოლოს დოქტორიც გამოიცვალა, როგორც იცვლება ყველა, რაც კი ქვეყანაზედ არსებობს. მოძრაობა და ცვლილება ბუნების კანონია და ამ კანონს ვერა ვინ ვერ წაუვა. დოქტორი ხედავს, რომ ამერიკიდამ ალმოუბრწყინდება ქვეყნიერებას ბრწყინვალე მზე, რომელიც უჩვენებს იმას მომავალში ახალს გზას ახალის ცხოვრებისას.

### თავი III.

### ზამბო.

მე გამოვიღვიძეო დილით,—გვიამბობს დოქტორი.—ჩემი ვაჟი ხმა მაღლა გალობდა Miserere-ს ტრუბადურიდამ. (*) ქალი გამოუთქმელის ალტაცებით უკრავდა დონნერის არიების ხმაზედ სიმღერაებს—„შტურმიდამ". ცოტა მოშორებით—ჩემი ცოლი რაღაცაზედ სტუქსავდა ძიძას, რომელიც იმას ყვირილით უპასუხებდა. არა ფერი არ გამოცვლილა ჩემს მიმშვიდებულს სადგომში. მე რომ ღამე შიში გამოვიარე, ის უბრალო სიზმარი იყო: როგორც იყო თავი დავხსენ ამ შიშს. ეხლა მე ჩემის ძველის და საყვარელის ჩვეულებისა მებრ თვალლია მივეცემი ოცნების ტალღებს, მანამ საუზმის დრო მოვიდოდეს.

ჩვეულებისა მებრ, შვიდს საათზედ შემოვიდა ჩემს ოთახში მოსამსახურე და მომიტანა ჟურნალი. იმან გაალო ფანჯარა და ფარდებიც გასწია. მზის სიბრწყინვალეს და გამაცოცხლებელს ჰაერის სითბოს ჰქონდათ ჩემზედ სასიამოვნო მოქმედება. მე სინათლისკენ მივბრუნდი და, ოხ ღმერთო! ჩემი თმები სულ ყალხზედ შედგნენ და მე ერთი სიტყვის გამოთქმაც არ შემეძლო, ენა ჩამივარდა.

ჩემ წინ იდგა ნეგრი (შავი კაცი), რომელიც ცეკვოდა და იცინოდა. კბილები იმას მიუგვანდნენ ფორტეპიანოს კლავიშებს და ტუჩები ისეთი მსხვილები ჰქონდა, რომ ჰფარავდა ცხვირსა და ნიკაპსა. იმას ეცვა თეთრი ტანისამოსი, თითქო უნდოდა უფრო შავი გამოჩენილიყო. სასაშიშრო ნადირი ნელანელა მე მიახლოვდებოდა, იქნევდა ხუჭუჭიან თავს. იმან თითქმის თვალში გამიყარა თავისი ვეება თვალები.

მასსას (master—ბატონს ეძახიან ესე) კარგა ეძინა, მღეროდა ის. ზამბო სრულებით კმაყოფილია.

მე მინდოდა ჩქარა თავი დამეხსნა ამ საზარელი სანახავისაგან და დავხუჭე თვალები. გული მიცემდა საკვირველის სიჩქარით და თითქოს ცდილობდა თავის ბუდიდგან ამოხტომას. მერე, როგორც იყო, გავბედე და გავახილე თვალები. მე ვიყავი ერთი. გაჰქრა ის საშინელი სანახავი, რომელმაც მეხივით თავზარი დამცა. მსწრაფლად წამოვხტი ქვეშაგებიდგან, თავზედ ხელი მოვისვი და გავექანე ფანჯარისკენ ერთის თვალის დახამხამებაში. ჩემს თვალებს წარმოუდგა გრძლათ ჩამწკრივებული, პაწაწა სახლები, სამი სტამბა, ექვსი ჟურნალი და აფიშები (განცხადებაები) ყველგან, საითაც კი კაცი მიიხედავს; ყველგან საკმაოდ იყო წყალი გაყვანილი. ქუჩებში მიმავალი ხალხი აჩქარებით გარბოდა, თითქო სადღაც მიეშურებოდა: ყველა კაცი ჩაღრმავებულიყო თავის ფიქრებში და მისცემოდა რაღაც გაუგებარს და მიუწდომელს ზრუნვას. ყველა დუმილით და ჩუმათ მიდიოდა თავისს საქმეზედ; ყველას ჯიბეში ხელები ეწყო, თითქო იმაში დამბაჩები ჩაუდვიაო. არსად არ ისმის არც ყვირილი და არც ხმაურობა. არსად არა სჩანან მატანტალანი, ვერ დაინახავ სიგარას. მთელს იმ სივრცეზედ, სადამდისაც თვალი მიმიწვდებოდა, არ შემინიშნავს არც ერთი სერჟანტი, (*) არც ერთი პოლისმენი. მე მართლა და დაჭეშმარიტებით ამერიკაში ვიყავი! ჩემი მცნობი არავინ არის. მე მარტოთმარტო გადმოუტყორცნივარ რაღაც საიდუმლო ძალას ამ უცხო და უცნობ ქვეყანაში. მე ვიმყოფები ველურს, მტარვალს და გაუმაძღარს ხალხში. მე დავიღუპე! (დაცინვით ამბობს).

მე თავდანებებული და გარეტიანებული ვარ რობინზონზედ (**) უმეტესად, როცა იმას ზღვის ღელვამ ხომალდი დაულეწა. მე ერთბაშათ სკამზედ დავეშვი, რომელიც ჩემს ქვეშ შეთამაშდა. მე კანკალმა ამიტანა. ერთბაშათ წამოვხტი და სარკეში ჩავიხედე, მაგრამ, ვაი დაღუპულო თავო, მე ჩემი თავი ველარ ვიცანი.

მე გამომეცხადა პირ-ხმელი კაცი, ცოტა მოტვლეპილი თავით, რომელზედაც შერჩომილიყო ორიოდ-სამი ქერა თმა. მე წარმომიდგა კაცი გაფითრებულის სახით, ქერა ბაკებით, რომლებიც მხრებამდის სწვდებოდა. აი რა გვარათ გადასცვალა პარიჟელი შოსსე დ'ანტენი ბოროტმა ძალამ.

მე საშინლად გაფითრებული ვიყავი. კანკალმა ძვლებამდის ჩამატანა. ვაი მხდალობავ, ვაი სულმოკლეობავ! წამოვიძახე მე. მე უნდა დავიცვა ფრანცუზის პატიოსნება და ჩემი ოჯახის პატიოსნებაც. მე უნდა მოვიპოვო ჩემს გრძნობაზედ ის უფლება, რომელიც აქამდის ხელიდგან მისხლტებოდა. უბედურება კაცს გმირად გახდის!

მე დაძახნა მინდოდა, მაგრამ ზარი არსად იყო. ერთბაშათ თვალი მოვკარ ერთს პაწაწა ზონარს, მივედი და ჩამოვწიე. მაშინვე ელვასავით შემოვარდა ზამბო და წინ დამიდგა.

— მოიტანე ჩქარა ცეცხლი, შევყვირე მე, მე უნდა გავაჩალო ცეცხლი ბუხარში.

— განა მასსას არა აქვს სპიჩკა, სთქვა ზამბომ—და ამასთან მიჩვენა მე აბედი, რომელიც ბუხარში იდვა. განა მასსას არ შეუძლიან პატარა ძირს დაიხაროს, დაუმატა იმან დაცინვით?

მერე გადაატრიალა იმან ბუხრის ბურღი, დაადვა ანთებული სპიჩკა აბედს და შეშა აბრიალდა ბუხარში.

— არ გეცოდები, სთქვა იმან წასვლის დროს; რათ აწუხებთ ტყუილათ საწყალს ნეგრს, რომელიც თავისთვის მზეზედ თბებოდა.

— ეს რა ველური ხალხია, წავიბუტბუტე მე და ბუხართან ახლო მივედი. ცეცხლის ალმა, ცოტა არ არის, მომაცოცხლა მე. ველური ხალხია, ვამბობდი მე, არსად მაშაა, არსად ნახშირი, არც კომლი და არც საბერველი! აი წმინდა ბარბაროსები. ამათ არ იციან, თუ რამდენი სიამოვნებაა გაღუდღუდებულის ნაკვერჩხლების ქექაში. თუ ცეცხლი გინდა აანთო, ან გააქრო, ან ძრიელ გააჩალო, უნდა გადაატრიალო კრანტი, და სხვაი-ვაგლახი, როგორც ჩვენშია, ყველა უმრავ ბუხარმა თავის საქმე თვითონ კარგათ იცის. ეს ბუხრები იმისთანა ხალხის მოგონილია, რომელსაც არა აქვს პოეზია. ყველა მოულოდნელი შემთხვევა ამ ხალხს არა ჰყვარებია, ეს დაჰკანკალებს ყოველს წამს. ყოველი მინუტი ამას ძვირად უღირს. დრო—ფულებია, ამბობს ეს ხალხი.

როცა მე ცეცხლმა კარგათ გამათბო, შეუდექ ტანისამოსის ჩაცმას; ჩემ წინ იდგა სტოლი წითელის ხისგან გაკეთებული. სტოლზედ ეწყო სხვა და სხვა ავეჯოულობა: ჩოტკები, ღრუბელი, საპონი, დუხი და პომადა. მაგრამ ერთი ცვარი წყალი კი არსად იყო.

მე ხელახლა ჩამოვწიე ზონარს, ზარი დაწკარუნდა და ზამბო შემოვიდა უფრო ძრიელ გაჯავრებული.

საჩქაროთ ცხელი და ცივი წყალი მამიტანე, მე მეჩქარება.

— ეს მეტად ახირებულია, დაიძახა ზამბომ. მასსას (ბატონს) თითონ არ შეუძლიან, რომ ცივი და ცხელი წყალი ჩამოუშვას მილიდგან, რომელიც იქვე კუნჭულშია. ეს ველარ აიტანება. მე უნდა წავიდე, დავიკარგო აქედგან. მე ვერ ვემსახურები იმისთანა ბატონს, რომელიც თავის ცხვირ წინ ვერაფერს ვერა ჰხედავს. ის გავიდა და კარები მაგრა რახუნით გაიხურა.

— ყოველთვის და ყოველგან რო კაცს მზათ ჰქონდეს ცხელი წყალი, ეს უეჭველად კარგი საქმეა. მაგრამ ამას მოიგონებს მხოლოდ იმისთანა ხალხი, რომელსაც თავისის გამართვის და გაწყობის მეტი არა ახსოვსრა. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ მანდამდის არ მიგვიხწევია. ჯერ ბევრი დრო გაივლის, მანამ ჩემი დიდებული ფრანცია მაგ მდგომარეობას ეღირსოს. მგონია ორასი წელიწადი გავიდეს, მინამ ჩვენ შევეჩვეოდეთ ამნაირს მეტად გადაჭარბებულს სიფაქიზეს და განცხრომას.

ისე არა გაუცოცხლებს რა კაცს აზრებს, როგორც პირის მოპარსვა. მე პირი მოვიპარსე და თითქო ხელახლა დავიბადე. მე ჩემი თავი უწინდელათ ალარ მეუცხოვა; რადგანაც თვალი შევაჩვიე. მერე ვიფიქრე, რომ თბილს წყალში ბანაობა მე მეტად მარგებდა. სრულებით გამამთელებდა და გამამხნევებდა კიდეც ცოლშვილთან. მაგრამ, ვინ იცის, ვაი თუ ისინიც ჩემზედ მეტად გამოიცვალნენ!

მე დაუძახე. ზამბო მოვიდა ჩემთან უსიამოვნოს სახით.

— ჩემო მეგობარო, მასწავლე გზა, საით უნდა წავიდე აბანოში.

— აბანო? რათ გინდათ აბანო, მასსავ?

— მე თავი გავიქნიე. რათ მინდა აბანო? საბანებლად მინდა, სხვა რისთვის უნდა მინდოდეს.

— მასსას აბანოს პოვნა უნდა, სთქვა ზამბომ და თან განკვირვებით დამაცქერდა მე. ეს იყო, ამისთვის მეძახის მასსა ბაღიდამ.

— დიახ, მაგისთვის.

— ოხ, მე მაგის მოთმენა ალარ შემიძლიან, დაიძახა ნეგრმა და გამოიგლიჯა ერთი მუჭა თმა. ყველა საწოლთან არის საბანებელი ოთახი და მასსა ეძახის ზამბოს იმისთვის, რომ ჰკითხოს: საყვარელო მეგობარო, სად უნდა ვიბანოვო. ამ გვარი დაცინვა და შეურაცხ-ყოფა ამერიკელისა არ შეიძლება.

ზამბომ გაალო აბანოს კარები და შემიყვანა მშვენიერად მორთულს ოთახში, სადაც გამართული იყო თეთრი მარმარილოს აუზი.

— აბა ახლა, ზამბო, დაცინვის ხმით მღეროდა ნეგრი, აბა ახლა, ზამბო, აბანე მასსა, ცივი და ცხელი წყალი ჩამოუშვი მილიდგან, მოუმზადე საბანებელი აუზი (ვანნა), გაუშრე თეთრეული და ამის გარდა ძიძობაც უყავ, მასსასთვის ღმერთს არ მიუცია ხელები, მასსა ვერ ახმარებს და ამუშავებს თავის ხელებს!

— მე დავჩუმდი და არაფერი არ უპასუხე ზამბოს, თუმცა ის მირისხდებოდა მე. მაგრამ გულში კი მე ვწყევლიდი ამ ამერიკულს სახლებს, რომლებიც წმინდა საპყრობილენი არიან, საიდგანაც კაცი კარში ვერ გამოვა, რადგანაც იმათში ყოველისფერი არის, რასაც კი კაცი მოითხოვს. ჩვენს პარიჟში ასე არ არის; თუ კაცს საჭიროება აქვს რამე, უნდა მთელი ქალაქი დაიაროს, რადგანაც შინ ამას ვერ იშოვის. მართალია ეს ძვირად ჯდება, მაგრამ კარგა შორსაც არის.

(შემდეგი იქნება.)

---

(1) პრუსსიის ტალერი არის 90 კაპ.

(2) ზილბერგროშია 3 კაპ.—მაშასადამე პოლუიმპ. ღირს 4 მან. და $93^1/_2$ კაპ.

(3) მაშასადამე 1 მანეთიანი ბილეთი გადის 68 კაპ.

(*) ეს წიგნი მთლად ვერ დაიბეჭდება გაზეთში. ამისთვის ჩვენ ამოვიღებთ წიგნიდგან იმისთანა ადგილებს, რომელნიც ნათლად გვიხატავენ ამერიკელების ცხოვრებას და წარმოგვიდგენენ იმათს განათლებას და წარმატებას. რედ.

(**) იანკებს ეძახიან ამერიკელებს, რომელნიც ახალ-ანგლიის შტატებში ცხოვრებენ; მაგრამ ევროპაში ამ სახელს უწოდებენ ყველა ჩრდილოეთ-ამერიკის მცხოვრებლებს.

(*) იტალიური ოპერაა, ვერდის თხზულება.

(*) სერჟანტი და პოლისმენი პოლიციაში მოსამსახურე კაცებს ეძახიან.

(**) ერთი მოთხრობაა. ამ მოთხრობაში ერთი კაცი რობინზონი გამგზავრებულა ამერიკაში, მაგრამ ამერიკის კიდის მახლობლად ხომალდი დაღუპულა და მხოლოდ ერთი ეს კაცი გადარჩენილა ცოცხალი. იმას დაუყვია მარტოთ-მარტო ამერიკაში 24 წელი; იმდროს იქ მხოლოდ ველური ხალხი ცხოვრებდა. რობინზონის გაჭირვების მოთხრობა მეტად კარგს ამბავს შეადგენს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го іюля 1866 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.